...ება, მათ არ იციან გაგრძელდება ჰესის მშენე-...ობა თუ არა და ყოველივე ამის გამო არ ვი-...რდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, ისე-...ც დუხჭირი ცხოვრება კიდევ უფრო უაზრო ...ება.

დაახლოებით ერთი წლის წინ მსოფლიო ბან-...ს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ...ლი მოკიდა ჰიდროსადგურის აშენების შესაძ-...ო ვარიანტების შესწავლას. ტექნიკური პროექ-...ის შემსრულებლად შვეიცარიული კომპანია ...ოლენკო სტოკი" დაიქირავა, ხოლო ეკოლოგი-...რ-სოციალური შეფასება მოამზადა ფრანგულ-ი-...ალიურმა კონსორციუმმა BRLI-ARS Progetti.

აღნიშნული ჯგუფების ნაშრომები უკვე რამ-...ნიმე დღეა ენერგეტიკის სამინისტროს ვებ ...ვერდზე გამოქვეყნდა. ნაშრომები განიხილა აგ-...ეთვე სს "ლალხორის" ექსპერტთა ჯგუფმა და ...აქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემი-...ათან არსებულმა საქართველოს მთიანეთის კომ-...ლექსური შესწავლის კომისიამ. ნაშრომის გან-...ილვა ამ ორმა კომპეტენტურმა ორგანიზაციამ ...აკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. განხილვის შე-...ეგად დადგინდა, რომ ტექნიკური პროექტის ავ-...ორებს წარმოდგენილი აქვთ კაშხლის მშენებ-...ობის რამოდენიმე ვარიანტი, მათგან უპირატე-...ობას ანიჭებენ ორს:

1. კაშხალი შენდება ხაიშს ქვემოთ სოფელ ლალხორალთან (ძველ ადგილას);
2. კაშხალი შენდება ხაიშს ზემოთ სოფელ ...ობართან;

გარდა ამისა პროექტანტების მიერ წარმოდგე-...ლია სხვადასხვა ვარიანტები.

აღნიშნული ვარიანტებიდან ჩანს, რომ ენგურის ...ეობის შიდა წელი განხილულია როგორც კას-...

...რაც ჩანს, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ამ ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების აშენება გარდაუვალია. ისეთი წყალუხვი მდინარე, როგორც ენგურია, რომელსაც მოკლე მანძილზე დიდ დონეთა სხვაობა გააჩნია, სხვაგან არა გვაქვს; **საქართველოს ელ.ენერგიით უზრუნველყოფის დეფიციტი საკმაოდ დიდია. ამდენად გვინდა თუ არა, ელექტროსადგურები გვჭირდება, მაგრამ რამდენად უმტკივნეულოდ გავაკეთებთ ამას, ისე რომ მოსახლეობა და ბუნება რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალდეს, აი ეს არის მთავარი გადასაწყვეტი საკითხი.**

როდესაც ქართველი ექსპერტების და სსვადასხვა სპეციალისტების დონეზე განვიხილეთ აღნიშნული ვარიანტები, აღმოჩნდა, რომ კაშხალი ხაიშს ქვემოთ იქნება თუ ხაიშს ზემოთ, მოსახლეობისთვის დიდი შეღავათი არ არის და აი რატომ:

განვიხილოთ ის ვარიანტი, როცა კაშხალი ხაიშს ზემოთ აშენდება, როგორც ვთქვით ხაიშს ზემოთ რამოდენიმე ელექტროსადგურია ნაგულისხმევი. მშენებლობის პერიოდში ყველა შემთხვევაში ძირითადი სამშენებლო ბაზები ხაიშში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგდება. სამშენებლო მოედნები მთლიანად აითვისებს ნებისმიერ ცარიელ ადგილს, მოსახლეობა, უნდა თუ არა, ყველანაირად შევიწროვდება. ასევე სულ მცირე 5 ათასიანი მუშათა კონტიგენტი ამ რელიეფზე უნდა განთავსდეს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ფაქტიურად შთანთქავს.

მძიმე სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ყოველდღიური გამონაბოლქვი აირები ამ ვიწრო ხეობას მომწამვლელი გაზებით აავსებს. რაც სხვადასხვა დაავადების წყაროა. მესტია-ხაიში-ზუგდიდის ცენტრალური გზა მუდამ შეფერხე-...

[illegible] ჰიდრო ელექტროსადგურების მშენებლობა აუცილებელია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ უახლოეს მომავალში საქართველოს ენერგეტიკული მოხმარების 70% ჰიდროელექტროენერგიაზე გადავა. (არ გაგვაჩნია საკუთარი გაზი და ნავთობი). ეს კი დამატებით სულ მცირე წლიური 10 მილიარდი კილოვატსაათის მოთხოვნას ნიშნავს. ნურც აქ მოვიტყუებთ თავს, როგორი სიმაღლის კაშხლებიც არ უნდა აშენდეს გზის მონაკვეთი ხაიშიდან ნაკრამდე, ფაქტიურად ჭუბერის ხეობაში უნდა გადავიდეს. ეს კი იწვევს როგორც გზის დაგრძელებას (საშუალოდ 18-28კმ) ასევე რელიეფურ სირთულეს. მოსახლეობისათვის თითოეული კილომეტრის მომატება მეტად მტკივნეულია. ასე რომ, უნდა თუ არა, სვანეთმა დიდი მსხვერპლი უნდა გაიღოს. ეს არ არის ადვილი, მოსახლეობამ მძიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. აგრეთვე არ შეიძლება განზე დავტოვოთ კიდევ ერთი დიდი პრობლემა - ეს არის ენგურჰესის კაშხლის საკითხი. საქმე იმაშია, რომ თავის დროზე ენგურის კაშხალი იმ ვარაუდით აშენდა, რომ მის დასაცავად ხუდონჰესი დროულად აშენდებოდა. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ რამე რომ მოხდეს და ენგურის კაშხალი დაზიანდეს მთელი შავიზღვისპირეთი წაილეკება. არადა არც ისაა საიდუმლო, რომ ენგურის კაშხლის მე-6 შრე „სამკურნალოა" (თანაც დროზე). ხუდონის კაშხლის აშენების შედეგად შესაძლებელია ენგურის წყალსაცავის რეგულირება, დაცული ხდება სხვადასხვა შენატანებისაგან, წლიური გამომუშავება თითქმის ნახევარ მილიარდი კილოვატსაათით მატულობს. ენგურჰესის სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთიორად იზრდება.